ბასს 2 "მარაგები"-ს პარაგრაფ-9 ის თანახმად: სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს გასაყიდ ფასს, გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები

ფინანსური სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

დივიდენდების განაწილება

კომპანია აღიარებს დამფუძნებლების წინაშე დივიდენდის ფულადი ან არაფულადი სახით განაწილების ვალდებულებას, როდესაც დივიდენდი უკვე გამოცხადებულია. შესაბამისი ღირებულება აღიარდება პირდაპირ კაპიტალში. არაფულადი განაცემები ფასდება გასანაწილებელი აქტივების საბაზრო ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობის თანხა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გასანაწილებელი აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება შემოსავლად მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურება ხდება, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღსადგენ ღირებულებას, რომელიც არ აღემატება მის რეალურ თვითღირებულებას, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. რეალური თვითღირებულების დაანგარიშება, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით, ეფუძნება ხელმისაწვდომ ფასს, რომელიც მოცემულია „გაშლილი ხელის პრინციპზე“ აგებულ გაყიდვის გარიგებაში, ან საბაზრო ფასთან მიახლოებული ფასს, რომლებშიც არ შედის დამატებითი ხარჯები აქტივის გაცემისთვის.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით.

4. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან განსჯას, შეფასებებს, ვარაუდებს, რომლებიც ეხება შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებს, თანხლებ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და პირობით ვალდებულებებს. გაურკვეველობა ამ ვარაუდებისა და შეფასებების შესახებ, შესაძლოა, დასრულდეს ისეთი შედეგით, რომელიც მოითხოვს აქტივისა ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას მატერიალურ კორექტირებას მომავალში.

შეფასებები და ვარაუდები

ძირითადი ვარაუდები დაკავშირებული შეფასების გაურკვეველობის მომავალ ან სხვა მნიშვნელოვან წყაროსთან დასკვნის თარიღისთვის, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალური კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, აღწერილია ქვევით. გახადოს საჭირო მხრივ მომავალ წელს. კომპანია შეფასებებსა და ვარაუდებს აკეთებს იმ პარამეტრების საფუძველზე როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდება. არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალი განვითარების შესახებ შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის ან გარემოებათა ცვლილებასთან ერთად, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს. ასეთი ცვლილებები გავლენას ახდენს ვარაუდებზე მაშინ, როცა ის იჩენს თავს.

5.ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

რამოდენიმე ახალი სტანდარტი, სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაცია ჯერ არ არის ამოქმედებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობაზე. „კომპანია“ გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე:

- 2014 წლის ივლისს გამოქვეყნებული ფასს 9 ჩაანაცვლებს არსებულ მეთოდურ მითითებებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს განახლებულ მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების გასაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალ ზოგად მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-დან მეთოდურ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 01 იანვრიდან. ადრეული დანერგვა დაშვებულია. „კომპანია“ აფასებს ფასს 9-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და IFRIC 13 კლიენტების ლოიალურობის პროგრამები. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპები ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლის ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა და მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ უამრავ კომპონენტს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი დროზე ადრე დანერგვა ნებადართულია. „კომპანია“ აფასებს ფასს 15-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), IFRIC 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), SIC 15 (საოპერაციო იჯარა-სტიმულირება) და SIC 27 (გარიგების შენაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორ სააღრიცხვო პრინციპს, რომლებიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. მეიჯარის აღრიცხვა

არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება-ე.ი. მეიჯარეები განაგრძობენ ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშგების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებული, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან). კომპანია აფასებს ფასს-16 გამოყენების პოტენციურ გავლენას.

6. ძირითადი საშუალებები ღირებულება ან გადაფასებული თანხა

	მიწა	დაუმთავრ ებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის ინვენტარ ი ტექნიკა და ავეჯი	სატრანს პორტო საშუალო ებები	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	271	-	1,441	805	194	727	3,438
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	-	18	15	124	5	65	227
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	(2)	-	-	-	-	(66)	(68)
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	269	18	1,456	929	199	726	3,597
შესყიდვები /კაპიტალიზაცია	39	-	11	80	12	177	319
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაყიდვები/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	308	18	1,467	1,009	211	903	3,916

ცვეთა და გაუფასურება							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(524)	(387)	(153)	(490)	(1,554)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	-	(72)	(69)	(14)	(51)	(206)
გაყიდვის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	64	64
გადაფასების კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	-	-	(596)	(456)	(167)	(477)	(1,696)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	-	(43)	(43)	(8)	(54)	(148)
გაყიდვის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	-	-	(639)	(499)	(175)	(531)	(1,844)

საბალანსო ღირებულება							
2016 წლის 1 იანვრის მდგომ.	271	-	917	418	41	236	1,883
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	269	18	860	473	32	248	1,900
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომ.	308	18	828	510	35	371	2,071

7. მარაგები

	2016	2017
არმატურა	3,504	1,595
კვადრატული მილი	952	768
შველერი	759	370
კუთხოვანა	687	397
ფოლადის ფურცელი	366	87
ორტესებრი კოჭი	407	248
გლინულა	366	700
მილი	321	520
ზოლოვანი	97	61
მინა	16	9
ლამინირებული ფანერა	-	211
საქონელი გზაში	608	891
სხვა	254	161
სულ მოთხოვნები	7,971	6,018

- აქტივის აღიარება მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც სამართლებრივ კონტროლს ახორციელებს კომპანია. 2018 წლის 5 იანვარს მარაგებში ასახული სამშენებლო მასალები კომპანიის საკუთრებაში გადმოვიდა 2017 წლის 28 დეკემბერს. ვინაიდან მიწოდება განხორციელდა FCA პირობით. შესაბამისად, მოვახდინეთ მაკორექტირებელი გატარება, რათა მოგვეხდინა მარაგების ასახვა სწორ პერიოდში.
- ანალიზის პერიოდში გამოვლინდა გარკვეული სახის მარაგი, რომლის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება ნაკლები იყო თვითღირებულებაზე. გამოვლინდა, რამოდენიმე სახის მარაგის გაუფასურებაც, თუმცა კომპანიის მარკეტინგული პოლიტიკიდან გამომდინარე არ მოხდა კორექტირება 2017 წლის მარაგების საბოლოო ნაშთის.

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 2016 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიყურება ასე:

	2016	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,207	3,639
დებიტორული დავალიანების ანარიცხები	-	(142)
მისაღები პროცენტები	-	2
სხვა დარიცხული მოთხოვნები	-	6
სულ მოთხოვნები	2,207	3,505

2016	არც წარსული და არც გაუფასურებული	<60-90 დღე	<90-180 დღე	> 180 დღე	ჯამში
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	894	236	1,077	-	2,207

2017	გაუფასურებული	<60 დღე	<60-90 დღე	<90-180 დღე	> 180 დღე	ჯამში
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	142	2,151	6	194	1,146	3,639

9. გაცემული ავანსები

	2016	2017
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,818	2,252
სულ ავანსები	1,818	2,252

10. სხვა მიმდინარე აქტივები

	2016	2017
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	39	-
გადახდილი დღგ	949	430
სულ ავანსები	988	430

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2016	2017
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები სალაროში	1	1,003
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	103	78
საერთო ჯამში:	104	1,081

„კომპანიის„ საპროცენტო განაკვეთის რისკი და ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

12. კაპიტალი**ა) საწესდებო კაპიტალი**

2017 წლის 31 დეკემბრისთვის მდგომარეობით არსებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,000 ლარს, რომელიც თანაბრად იყოფა ოთხ აქციონერს შორის.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

ბ) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის“ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ის შესაბამისად.

2017 წელს „კომპანიამ“ გადაიხადა 2014 წელს გამოცხადებული დივიდენდიდან 1,700,000 ლარი

13. გრძელვადიანი და მიმდინარე სასესხო ვალდებულება

31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2016	2017
თი-ბი-სი ბანკი	6,227	8,182
ჯამში:	6,227	8,182

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2016
GEL K500 სესხი ბანკიდან N 10345/ 8556803	10%	25.03.2017	USD	2,662 GEL
GEL K500 სესხი ბანკიდან N 10345/ 8556814	10%	25.03.2017	USD	2,538 GEL
GEL K1,100 სესხი ბანკიდან N 10345/ 8618016	10%	25.03.2019	USD	1,027 GEL
				6,227 GEL

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	2017
GEL K1,500 სესხი ბანკიდან N 10345/ 9014751	9%	25.06.2018	USD	3,757 GEL
GEL K1,305 სესხი ბანკიდან N 10345/ 9296822	8%	31.10.2019	USD	3,129 GEL
GEL K500 სესხი ბანკიდან N 10345/ 9417943	8%	15.06.2018	USD	1,296 GEL
				8,182 GEL

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2016	2017
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	150	1,051
სულ დავალიანება	150	1,051

„კომპანიის“ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკი სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

15. სხვა ვალდებულებები

	2016	2017
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	222	198
სულ ვალდებულებები	222	198

16. შემოსავალი რეალიზაცია/მომსახურებიდან

	2016	2017
სამშენებლო მასალები	42,274	45,510
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	70	121
შემოსავალი მზა პროდუქციიდან	138	120
შემოსავალი რკინის მასალების წარმოებიდან	103	120
შემოსავალი მომსახურებიდან	109	95
შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	66	-
სხვა შემოსავალი რეალიზაცია/მომსახურებიდან	160	77
საერთო ჯამში	42,920	46,043

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2016	2017
სამშენებლო მასალების რ.პ.თ.	36,458	41,057
ბეტონის დასამზადებელი მასალები	27	18
რკინის ნაკეთობის დასამზადებელი მასალები	117	118
შემენილი მასალა წარმოებითვის	36	52
სხვა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	56	-
საერთო ჯამში	36,694	41,245

18. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2016	2017
შრომის ანაზღაურება	1,000	1,027
ცვეთა და ამორტიზაცია	206	148
საკონსულტაციო ხარჯი	73	108
რემონტის ხარჯები	29	121
კომუნალური ხარჯი	53	52
საკომუნიკაციო ხარჯები	35	27
მივლინების ხარჯები	15	22
საბანკო პროცენტები	-	30
სხვა ხარჯები	19	33
საერთო ჯამში	1,430	1,568

კომპანია ახდენს საწვავების შესყიდვას და თავის თანამშრომლებზე გაცემას როგორც ხელფასის დანამატი. აღნიშნული სარგებელი სტანდარტების შესაბამისად აღიქმება როგორც დაქირავებულთა გასამრჯელოები. შესაბამისად კომპანია იცავს სტანდარტის პირობებს ამ ქეისთან დაკავშირებით.

ბასს 19 " დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები" - პარაგრაფი 5: ა) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ, თუ მათი გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

(iv) არაფულადი გასამრჯელოები (როგორცაა, მაგალითად: სამედიცინო მომსახურება, ბინითა და ავტომანქანით უზრუნველყოფა, უფასო ან სუბსიდირებული საქონელი ან მომსახურება) არსებულ დაქირავებულ პირთათვის;

კომპანია რეალიზაციის გაზრდის მიზნით ხშირად მიმართავს საშუამავლო მომსახურებებს და მათზე განხორციელებულ მომსახურების ხარჯებს შინაარსობრივად აღრიცხავს საოპერაციო ხარჯებში, როგორც ადმინისტრაციული ხარჯი. რადგან აღნიშნული ხარჯები შინაარსით არის პირდაპირ რეალიზაციასთან მიკუთვნებული ხარჯები, მოვახიდნეთ მათი რეკლასიფიცირება და სწორად ავსახეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიას ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯებში გარდა მიწოდების ხარჯების, გატარებული აქვს ავტომანქანების და საწარმოო დანადგარების მიმდინარე სარემონტო ხარჯები, რაც შინაარსით არასწორად არის გატარებული, არ არის პირდაპირ მიწოდების ხარჯი. მოვახიდნეთ თანხის იდენტიფიცირება და შესაბამისად გატარებების კორექტირება. თუმცა თანხა არაარსებითია მთლიან ხარჯებთან მიმართებით, მაგრამ მაინც უნდა მოხდეს გასწორება.

19. საოპერაციო ხარჯები

	2016	2017
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	-	142
გადასახდელი პროცენტები	295	
სატრანსპორტო ხარჯი	263	
სხვა საოპერაციო ხარჯი	28	
საერთო ჯამში	586	142

20. მიწოდების ხარჯები

	2016	2017
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	324
სხვა ზედნადები ხარჯები	-	39
საერთო ჯამში	-	363

21. საფინანსო შემოსავალი და საფინანსო ხარჯი

	2016	2017
საპროცენტო შემოსავლები	-	(2)
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	-	(1,345)
საპროცენტო ხარჯები	1,133	629
საპროცენტო ხარჯები ფიზ. პირების და ორგანიზაციების	-	21
სხვა არასამეწარმეო ხარჯები	-	1,179
საერთო ჯამში	1,133	482

22. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა**(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებულ იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მოწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

„კომპანიამ“ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულება შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ფასის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელს.

„კომპანიის“ შეფასების თანახმად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრი რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(გ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

(დ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო საქმიანობიდან.

(I) საკრედიტო რისკის გავლენა

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2016	2017
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	2,207	3,505
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	104	1,081
საერთო ჯამში	2,311	4,586

სავაჭრო მოთხოვნები

საკრედიტო რისკის მიმართ „კომპანიის“ დამოკიდებულებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის“ მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებშიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიოს საკრედიტო რისკზე.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება „კომპანიის“ სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. „კომპანიის“ განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე რესურსებიდან მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

„კომპანიის“ მომხმარებელთა 90%-ზე მეტს სამ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს „კომპანიასთან“ და ზარალს იშვიათად ჰქონდა ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება „კომპანიის“ საბითუმო მომხმარებლებს. „კომპანია“ არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

„კომპანია“ განსაზღვრავს სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაუფასურების რეზერვს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ აღმოჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის დადგენილი ზარალი,

რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვადაგადაცილებული თანხები, რომლებიც არ არიან გაუფასურებული კვლავ ამოღებადია, განვლილი წლების განმავლობაში გადახდების გამოხდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო მაჩვენებლებზე (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით.

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

	2016	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	-	7,457
აღიარებული გაუფასურების ზარალი	7,457	142
ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	-	(1,057)
ნაშთი წლის ბოლოს	7,457	6,542

(II) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 1,080,711 ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

(ე) ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის “კომპანიისეული” მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

„კომპანია“ ყოველდღიურად იღებს ფულად სახსრებს თავისი მომხმარებლებისგან. ეს ფაქტი უზრუნველყოფს, რომ „კომპანიას“ მუდამ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები ფინანსური

ვალდებულების მინიმუმ 60 დღეში დასაფარად. ზემოთაღნიშნული გარემოება გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ ზემოქმედებას, როგორც არის სტიქიური უბედურება.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების 2017 წლის ვადის დაფარვის პროფილების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

2016	მოთხოვნა	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	>5 წელი	ჯამი
სესხები და საპროცენტო ტარიფები	-	-	4,757	1,470	-	6,227
გადახდილი დივიდენდები	2,754	-	-	-	-	2,754
საერთო ჯამში	2,754	-	4,757	1,470	-	8,981

2017	მოთხოვნა	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	>5 წელი	ჯამი
სესხები და საპროცენტო ტარიფები	-	-	6,414	1,769	-	8,182
გადახდილი დივიდენდები	1,054	-	-	-	-	1,054
საერთო ჯამში	1,054	-	6,414	1,769	-	9,236

(ვ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

(III) სავალუტო რისკი

„კომპანია“ დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

(ზ) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

(თ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს.

23. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო

ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

23. დაკავშირებული მხარეები

ბასს 24 -დაკავშირებული მხარეების მიხედვით, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორის ფინანსურ ან ძირითად გადაწყვეტილებებზე. აქცენტი კეთდება ურთიერთობის არსსა და არა - სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულმა მხარეებმა შესაძლოა ერთმანეთთან დადონ გარიგება, რაც არ შეუძლიათ დაუკავშირებელ მხარეებს, ხოლო ტრანზაქციებზე დაკავშირებულ მხარეებს შორის, შესაძლოა, გავლენა არ მოახდინოს იგივე წესებმა და პირობებმა, რაც დაუკავშირებელ მხარეებს შორის მოქმედებს ხოლმე.

დასახელება	დაკავშირებული მხარეები	ოპერაციების შინაარსი
შ.პ.ს. „ისეკო“	შ.პ.ს. „მ.ჯ.“ დამფუძნებელ-მეწილეს მფლობელობაში მყოფი კომპანია	კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეს აკავშირებთ სამშენებლო საქონლის შესყიდვის ოპერაციები, აგრეთვე სატრანსპორტო და სხვა მომსახურების გაწევის ოპერაციები. მის მიმართ გააჩნია სასესხო ვალდებულება.
შ.პ.ს. „ჯეო-გლასი“	შ.პ.ს. „მ.ჯ.“ დამფუძნებელ-მეწილეს მფლობელობაში მყოფი კომპანია	კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეს აკავშირებთ სამშენებლო საქონლის შესყიდვის ოპერაციები, აგრეთვე საიჯარო, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების გაწევის ოპერაციები.
კახა კობერიძე	შ.პ.ს. „მ.ჯ.“-ის მეწილე	კომპანიაში დაკავშირებული მხარე არის მეწილე და კომპანიისგან იღებს დივიდენდს, ასევე, კომპანია უზრუნველყოფს საწვავით.
კობერიძე გიორგი	შ.პ.ს. „მ.ჯ.“-ის მეწილე	კომპანიაში დაკავშირებული მხარე არის მეწილე და კომპანიისგან იღებს დივიდენდს, ასევე, არის ანგარიშვალდებული პირი, კომპანია უზრუნველყოფს საწვავით.

ისაკაძე მალხაზი	შ.პ.ს. „მ.ჯ.“-ის მეწილე და დირექტორი	კომპანიაში დაკავშირებული მხარე არის მეწილე-დირექტორი და კომპანიისგან იღებს დივიდენდს, ასევე, კომპანია უზრუნველყოფს საწვავით.
ეზიშვილი პაატა	შ.პ.ს. „მ.ჯ.“-ის მეწილე	კომპანიაში დაკავშირებული მხარე არის მეწილე და კომპანიისგან იღებს დივიდენდს, ასევე, კომპანია უზრუნველყოფს საწვავით.

დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	2016	2017
შემოსავლები საერთო კონტროლის ქვეშ	2, 926	2,801
ფინანსური შემოსავალი (საპროცენტო)	-	2
საპროცენტო ხარჯები ფიზიკური პირების და ორგანიზაციების	-	21
შესყიდვები	-	2,042
მივლინების ხარჯები	-	10
სესხის დაფარვა	-	945
ტრანსპორტირების ხარჯი	-	0,551
შრომის ანაზღაურება	133	177
სხვა ხარჯი	6	-

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დამტკიცებამდე მოხდა უიმედოდ ჩამოწერილი დებიტორული დავალიანების ამოღება 24,128 ლარის ოდენობით.

მმართველობითი ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს “მ.ჯ.” (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). იგი მდებარეობს ქ.თბილისში და მისი იურ. მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ალექსიძის ქ.,1; ფაქტ. მისამართი კი - თბილისი. ქინძმარაულის ჩიხი 5/7.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე, კერძოდ, კომპანია ახდენს პროდუქციის იმპორტს და გაყიდვისათვის შესაბამისი ფორმისა და ზომის მიცემას.

2. კომპანიის განვითარების გეგმები:

დაგეგმილი პროექტები არ არსებობს. კომპანიის გრძელვადიანი გეგმა, როგორც ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით დადგინდა, იყოს სამაგალითო კომპანია საქართველოში ამ დარგში, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად კონკრეტული გადადგმული ნაბიჯები ჯერ არ ჩანს. კომპანიის მიზანია ასევე ლითონპროდუქციით ვაჭრობის ცენტრების გეოგრაფიის გაფართოება, რომლებსაც შეეძლება ლითონის პირვალადი გადამუშავების ფართო სპექტრით მომსახურების უზრუნველყოფა. ხოლო პრიორიტეტული მიზანია მომხმარებლებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის პროდუქცია, საჭირო რაოდენობით, უმოკლეს დროში, მინიმალური დანახარჯებითა და მასზე მორგებული ადგილზე მიტანის სერვისით.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. კომპანიას გააჩნია 1 ფილიალი:

ამ ფილიალის ადგილმდებარეობაა ქალაქი ბათუმი, ლეონიძის ქ. 23. ამ ფილიალში განთავსებულია საწყობიც. კომპანიას ასევე აქვს წარმომადგენლობა ქალაქ ქუთაისში, აბაშიძის ქ. 21ა-ში.

5. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. კომპანიას მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი:

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

საბალანსო ღირებულება

(ათას ფულად ერთეულში ლარში)

	2016	2017
ლარი		
	2,207	3,505
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
	104	1,081
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
	2,311	4,586

ფულადი სახსრები:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია ფლობდა 1,080,711 ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

სავალუტო რისკი:

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი:

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ლიკვიდურობის რისკი:

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

„კომპანია“ ყოველდღიურად იღებს ფულად სახსრებს თავისი მომხმარებლებისგან. ეს ფაქტი უზრუნველყოფს, რომ „კომპანიას“ მუდამ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები ფინანსური ვალდებულების მინიმუმ 60 დღეში დასაფარად. ზემოთაღნიშნული გარემოება გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ ზემოქმედებას, როგორიც არის სტიქიური უბედურება.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების 2017 წლის ვადის დაფარვის პროფილების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

იხილეთ ცხრილი ქვემოთ:

2016	მოთხოვნა	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	>5 წელი	ჯამი
სესხები და საპროცენტო ტარიფები	-	-	4,757	1,470	-	6,227
გადახდილი დივიდენდები	2,754	-	-	-	-	2,754
საერთო ჯამში	2,754	-	4,757	1,470	-	8,981

2017	მოთხოვნა	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	>5 წელი	ჯამი
სესხები და საპროცენტო ტარიფები	-	-	6,414	1,769	-	8,182
გადახდილი დივიდენდები	1,054	-	-	-	-	1,054
საერთო ჯამში	1,054	-	6,414	1,769	-	9,236

6. კომპანიას სესხები:

კომპანიას აქვს აღებული აქვს შემდეგი სესხები, მათ შორის 4 მიმდინარეა:

№10345/8556803, საპროცენტო განაკვეთი 10 %, დაფარვის ვადა 25/03/2017, ვალუტა - USD, თანხა 500 000 დოლარი;

№10345/8556814, საპროცენტო განაკვეთი 10 %, დაფარვის ვადა 25/03/2017, ვალუტა - USD, თანხა 500 000 დოლარი;

№10345/8618016, საპროცენტო განაკვეთი 10 %, დაფარვის ვადა 25/03/2019, ვალუტა - USD, თანხა 1 100 000 დოლარი;

№10345/9014751, საპროცენტო განაკვეთი 9 %, დაფარვის ვადა 25/06/2018, ვალუტა - USD, თანხა 1 500 000 დოლარი;

№10345/9296822, საპროცენტო განაკვეთი 8 %, დაფარვის ვადა 31/10/2019, ვალუტა - USD, თანხა 1 305 000 დოლარი;

№10345/9417943, საპროცენტო განაკვეთი 8 %, დაფარვის ვადა 15/06/2018, ვალუტა - USD, თანხა 500 000 დოლარი.

კომპანია არ ახდენს სესხების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

7. კომპანიის ბალანსზე არ ირიცხება დაუმთავრებელი მშენებლობა.
8. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.
9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „მ.ჯ.“-ის დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

20/07/2018 წ.

დირექტორი

მალხაზ ისაკაძე

მმართველობითი ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს "მ.ჯ." (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). იგი მდებარეობს ქ.თბილისში და მისი იურ. მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ალექსიძის ქ. N 1; ფაქტიური მისამართი კი - ქ. თბილისი, ქინძმარაულის ჩიხი 5/7.

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა:

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის იმპორტირებული პროდუქციის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე. კერძოდ, კომპანია ახდენს პროდუქციის იმპორტს და გაყიდვისათვის შესაბამისი ფორმისა და ზომის მიცემას.

2. კომპანიის განვითარების გეგმები:

კომპანიაში დაგეგმილი პროექტები არ არსებობს. კომპანიის გრძელვადიანი გეგმა, ვიყოთ სამაგალითო კომპანია საქართველოში ამ დარგში. კომპანიის მიზანია ასევე ლითონპროდუქციით ვაჭრობის ცენტრების გეოგრაფიის გაფართოება, რომლებსაც შეეძლება ლითონის პირველადი გადამუშავების ფართო სპექტრით მომსახურების უზრუნველყოფა, ხოლო პრიორიტეტული მიზანია მომხმარებლებს შესთავაზოს მაღალი ხარისხის პროდუქცია, საჭირო რაოდენობით, უმოკლეს დროში, მინიმალური დანახარჯებითა და მასზე მორგებული ადგილზე მიტანის სერვისით.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

კომპანიას არ გააჩნია არანაირი კვლევები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4. კომპანიას გააჩნია ერთი ფილიალი:

კომპანიის ფილიალი მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. N23. ამ ფილიალში განთავსებულია საწყობიც. კომპანიას ჰყავს წარმომადგენლობა ქალაქ ქუთაისში, აბაშიძის ქ. 21ა-ში.

5. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი

რისკების წინაშე:

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. კომპანიას მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი:

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებას. საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალური დამოკიდებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის იყო შემდეგი:

საბალანსო ღირებულება

(ათას ფულად ერთეულში ლარში)

ლარი

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

საერთო ჯამში

	2016	2017
	2,207	3,505
	104	1,081
	2,311	4,586

ფულადი სახსრები:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა 1,080,711 ლარის ღირებულების ფულად სახსრებს, რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო მიდრეკილებას.

სავალუტო რისკი:

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე იმ გაყიდვებსა და შესყიდვებზე, რომლებიც „კომპანიის“ განსხვავებულ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები ძირითადად ხორციელდება, არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკის სამართავად „კომპანიას“ არ გააჩნია რაიმე ფორმალური პოლიტიკა.

მგრძნობელობის ანალიზი:

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის დოლართან და ევროსთან მიმართებაში გამყარება (შესუსტება) შეამცირებს (გაზრდის) გადასახადების გადახდის შედეგად მიღებულ მოგება-ზარალს. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობას, რომლის მოლოდინიც აქვს „კომპანიას“ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღეს. ეს ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, რჩება მუდმივი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ლიკვიდურობის რისკი:

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

„კომპანია“ ყოველდღიურად იღებს ფულად სახსრებს თავისი მომხმარებლებისგან. ეს ფაქტი უზრუნველყოფს, რომ „კომპანიას“ მუდამ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები ფინანსური ვალდებულების მინიმუმ 60 დღეში დასაფარად. ზემოთაღნიშნული გარემოება გამოირიცხავს ისეთი ექსტრემალური გარემოებების პოტენციურ ზემოქმედებას, როგორიც არის სტიქიური უბედურება.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების 2017 წლის ვადის დაფარვის პროფილების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

იხილეთ ცხრილი ქვემოთ:

2016	მოთხოვნა	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	>5 წელი	ჯამი
სესხები და საპროცენტო ტარიფები	-	-	4,757	1,470	-	6,227
გადახდილი დივიდენდები	2,754	-	-	-	-	2,754
საერთო ჯამში	2,754	-	4,757	1,470	-	8,981

2017	მოთხოვნა	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	>5 წელი	ჯამი
სესხები და საპროცენტო ტარიფები	-	-	6,414	1,769	-	8,182
გადახდილი დივიდენდები	1,054	-	-	-	-	1,054
საერთო ჯამში	1,054	-	6,414	1,769	-	9,236

6. კომპანიის სესხები:

კომპანიას აღებული აქვს შემდეგი სესხები, მათ შორის 4 მიმდინარეა:

№10345/8556803, საპროცენტო განაკვეთი 10 %, დაფარვის ვადა 25/03/2017, ვალუტა - USD, თანხა 500 000
დოლარი;№10345/8556814, საპროცენტო განაკვეთი 10 %, დაფარვის ვადა 25/03/2017, ვალუტა - USD, თანხა 500 000
დოლარი;№10345/8618016, საპროცენტო განაკვეთი 10 %, დაფარვის ვადა 25/03/2019, ვალუტა - USD, თანხა 1 100 000
დოლარი;№10345/9014751, საპროცენტო განაკვეთი 9 %, დაფარვის ვადა 25/06/2018, ვალუტა - USD, თანხა 1 500 000
დოლარი;

№10345/9296822, საპროცენტო განაკვეთი 8 %, დაფარვის ვადა 31/10/2019, ვალუტა - USD, თანხა 1 305 000 დოლარი;
№10345/9417943, საპროცენტო განაკვეთი 8 %, დაფარვის ვადა 15/06/2018, ვალუტა - USD, თანხა 500 000 დოლარი.
კომპანია არ ახდენს სესხების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით და ექვეტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

7. კომპანიის ბალანსზე არ ირიცხება დაუმთავრებელი მშენებლობა.
8. კომპანია არ ფლობს სხვა კომპანიების აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.
9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „მ.ჯ.“-ის დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აღდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 20/07/2018 წ.

დირექტორი:

მალხაზ ისაკაძე



მოსაზრება მართველობით ანგარიშგებაზე

დაკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ან კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „მ.ჯ.“-ის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

გარიგების პარტნიორი:

ნიკოლოზ ბაკაშვილი

21/07/2018 წელი

მოსაზრება მართველობით ანგარიშგებაზე

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „მ.ჯ.“-ის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

გარიგების პარტნიორი:

ნიკოლოზ ბაკაშვილი



21/07/2018 წელი